საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე
მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი
ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ე. მ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.08.2019
საჩივრის რეგისტრაციის №107/19
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ხ.-ის მიმართ /სიითი № /
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ხ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 15 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. მ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ლ. ხ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2018 წლის 21 თებერვალს მას წარმოეშვა დავა მეზობელთან, ვინაიდან მან დაიწყო მიჯნის ნგრევა და ე. მ.-თან შეუთანხმებლად გაჩეხა ვაზი ე.წ. მწვანე ღობე. საჩივრის ავტორმა სამოქალაქო დავის დასაწყებად მიმართა ადვოკატ მ. უ.-ს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი ადვოკატი მ. უ. და მოპასუხის ადვოკატი ლ. ხ. ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობენ. ადვოკატი ლ. ხ. არის არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის“ წარმომადგენელი გურჯაანში და მას არ აქვს უფლება წარმომადგენლობა განახორციელოს სამოქალაქო საქმეზე. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა ლ. ხ.-მა მონაწილეობა მიიღო სასამართლოში მიმდინარე საქმეში ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით გაცემული ორდერით, რაზედაც ე. მ.-მა მიმართა ორგანიზაციას.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ესმის, რომ ადვოკატმა ყველა ხერხს უნდა მიმართოს თავისი კლიენტის ინტერესების დასაცავად, თუმცა აღნიშნული არ უნდა განახორციელოს ცილისწამებით, მოტყუებით, ყვირილით და თაღლითურად შედგენილ ხელშეკრულებაზე

ხელმოწერით. საჩივრის ავტორის შეფასებით, ადვოკატ ლ. ხ.-ის მხრიდან ცილისწამებას ჰქონდა ადგილი, როდესაც ის ამტკიცებდა, რომ ე. მ.-ს არ ესმოდა გამიჯვნის და საზიარო უფლების მნიშვნელობა. ადვოკატი ცილისწამებასთან ერთად ტყუილებითაც ცდილობდა მისი კლიენტის ინტერესების დაცვას, რადგან, ადვოკატის თქმით კლიენტი გარკვეულ პირობებს ასრულებდა დავის მიმდინარეობის პროცესში, სინამდვილეში ე. მ.-ის მოწინააღმდე მხარე არანაირ მოქმედებებს ასრულებდა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატის ლ. ხ.-ის განმარტებით, იგი მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ადამიანის უფლებათა ცენტრის" კახეთის რეგიონის ოფისში იურისტად და ჩართულია სხვადასხვა პროექტებში. 2018 წლის ივნისში კახეთის რეგიონში ხორციელდებოდა ორი პროექტი, რომლის ფარგლებშიც ადვოკატი ახორციელებდა ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ინტერესების დაცვას, რაც გულისხმობდა როგორც იურიდიულ კონსულტაციებს, ისე წარმომადგენლობას სასამართლოში. ვინაიდან, ე. მ.-ის მოწინააღმდეგე მხარე, მ. მ. ცხოვრობს გურჯაანის რაიონში და დავა მიმდინარეობდა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, ამიტომ მ. მ. ქალაქი თბილისიდან გადამისამართებული იყო კახეთის ოფისში. ადვოკატმა მ. მ.-ს სასამართლში წარსადგენად გაუმზადა შესაგებელი და შეგებებული სარჩელი, ასევე ადვოკატი ესწრებოდა სასამართლოში გამართულ სხდომებს.

2.2 ადვოკატ ლ. ხ.-ის განმარტებით, გაცვლის ხელშეკრულება, რომელზეც საჩივრის ავტორი საუბრობს, მ. მ.-ს შეუდგინა სხვა იურისტმა, რომელიც მისთვისაც გაუგებარი აღმოჩნდა, შესაბამისად ხელშეკრულებაზე ხელი არცერთს მოუწერია.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მომჩივანის პრეტენზია, რომ მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა ცილისწამებას, ყვირილს, არის უსაფუძვლო ბრალდება.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ლ. ხ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ე. მ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 15 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018-2019 წლებში. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. ხ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატი ლ. ხ. სასამართლო სხდომების მიმდინარეობის დროს მას უყვიროდა, ატყუებდა გარკვეულ ფაქტებს და მის მიმართ ცილისწამებას მიმართავდა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. ხ.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.გ მუხლის *„ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“*

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლი: *„ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას“.*

5.3 ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება არა მარტო სასამართლოში ან სასამართლოს ფუნქციის მატარებელ სხვა ორგანოში, არამედ იგი მოვალეა ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება.

5.4 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z.v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

5.5 ეთიკის კომისია ადვოკატის მიმართ არსებულ პრეტენზიებს იკვლევს „ადვოკატთა შესახებ“ კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით ადვოკატისთვის დადგენილი ვალდებულებების ფარგლებში. აადვოკატის ეთიკური ვალდებულებები ასევე მჭიდრო კავშირშია მორალური და ზნეობრივი ქცევის წესებთან, ვინაიდან ადვოკატის ამორალური და არაზნეობრივი საქციელი შესაძლებელია გახდეს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზია გამომდინარეობს პროცესის მონაწილე პირის მიმართ ადვოკატისთვის დადგენილი ვალდებულებიდან, რა დროსაც ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს პროცესის მონაწილე პირის, მათ შორის მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის უფლებები, გამოიჩინოს პატივისცემა და საკუთარი აზრის გამოხატვისას იყოს კორექტული.

5.6 ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური წარმოებისას მხარეები თავად იღებენ ფაქტების გადმოცემის, მათი დამტკიცებისა და დასაბუთების რისკს. საჩივრის ავტორის პრეტენზიები უკავშირდება სამ გარემოებას: ცილისწამებას, ყვირილს და ტყუილს, რომელთა დადასტურების მიზნით ე. მ.-მა კომისიას წარუდგინა 2018 წლის 29 ნოემბერს, 2019 წლის 22 მაისსა და 2019 წლის 23 ოქტომბერს გურჯაანის რაიონულ სასამართლოში გამართული სხდომის ოქმები.

5.7 საჩივრის ავტორის პრეტენზიით ადვოკატი ლ. ხ. ცილს სწამებდა მას სასამართლო სხდომებზე გაკეთებული განმარტებების დროს, როდესაც ამბობდა, რომ ე. მ.-ს არ ესმოდა გამიჯვნის და საზიარო უფლების მნიშვნელობა. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის 1(ე) მუხლის მიხედვით, „ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის

შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება“. ამ უფლების ხელყოფის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით, პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს (მუხლი 6.1). ეთიკის კომისიას კი უფლება აქვს იმსჯელოს ადვოკატის გაკეთებული განცხადებები იყო თუ არა არაეთიკური. საპროცესო კოლეგია სხდომის ოქმებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ადვოკატ ლ. ხ.-ს არ აქვს საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფრაზები წარმოთქმული, კერძოდ ის, რომ მას არ ესმოდა გამიჯვნისა და საზიარო უფლების მნიშნელობა. აღნიშნული წარმოადგენს ე. მ.-ის შეფასებას 2019 წლის 23 ოქტომბერს გურჯაანის რაიონული სასამართლოს სხდომაზე ადვოკატ ლ. ხ.-ის გაკეთებულ განმარტებებზე. კერძოდ, ე. მ.-მა სასამართლო სხდომაზე წაიკითხა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება საზიარო უფლების შესახებ, რასაც მოჰყვა ადვოკატის შეფასება შემდეგი სიტყვებით: „საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ეგ წერია, თქვენ საწინააღმდეგო რამე წაიკითხეთ“. საპროცესო კოლეგია არ მიიჩნევს ადვოკატ ლ. ხ.-ის მიერ წარმოთქმულ ფრაზას არაეთიკურად, ვინაიდან ამ ფრაზის წარმოთქმას არ შეეძლო პროცესის მონაწილე პირის უფლებების დარღვევა.

5.8 საპროცესო კოლეგია სასამართლო სხდომის ოქმებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვით ადვოკატი ლ. ხ. მას უყვიროდა არ დასტურდება. საქმეში წარმოდგენილ სხდომის ოქმებში ისმის, რომ კამათი მიმდინარეობდა ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის, თუმცა კამათი არ გადაზრდილა ადვოკატის მხრიდან არაეთიკურ ქცევაში. ადვოკატი ლ. ხ. საუბრობდა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, რაც ხშირ შემთხვევაში გაღიზიანებას იწვევდა საჩივრის ავტორში. ამასთანავე, ადვოკატ ლ. ხ.-ის ყვირილის არსებობის შემთხვევაში, მოსამართლეს გააჩნდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება - წესრიგის დაღვევის არსებობის შემთხვევაში გამოეყენებინა შესაბამისი სანქციები (212 მუხლი), რასაც ადგილი არ ჰქონია.

5.9 რაც შეეხება ადვოკატ ლ. ხ.-ის სასამართლოს სხდომაზე მიცემულ განმარტებებს, რომელიც საჩივრის ავტორის შეფასებით შეიცავდა ტყუილს, აღნიშნულზე ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს, ვინაიდან საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ადვოკატ ლ. ხ.-ის მიერ კანონით გაუთვალისწინებელი საშუალებების გამოყენება, მათ შორის სასამართლოსთვის ყალბი ინფორმაციის მიწოდება. ასეთის არსებობის შემთხვევაშიც, მხარის ან მისი წარმომადგენლის მიცემული განმარტებების ნამდვილობას მტკიცებულებებზე დაყრდნობით ამოწმებს სასამართლო.

5.10 ურთიერთგამომრიცხავია მხარეთა განმარტება გაცვლის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თაობაზეც. საჩივრის ავტორის განმარტებას, ადვოკატის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის იძულების შესახებ, არ ადასტურებს ადვოკატი ლ. ხ.. ეს უკანასკნელი მიუთითებს, რომ ხელშეკრულება შედგა სხვა იურისტთან, მის გარეშე და მასზე ხელმოწერა მხარეთა მიერ არ განხორციელებულა. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას მტკიცებულებათა არსებობის პირობებში დაადასტუროს დისციპლინურ საქმეში მონაწილე რომელიმე მხარის განმარტების ნამდვილობა.

5.11 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ხ.-ის პროფესიულ ქცევაში არ გამოიკვეთა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და „ადვოკატთა შესახებ“ კანონის ნორმების დარღვევა, შესაბამისად წარმოდგენილი საჩივარი არ იძლევა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 27-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №107/19 ადვოკატ ლ. ხ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/